ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 667

20 დეკემბერი
"___" _____ 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ. 202161098) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ. 202161098) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ. 202161098) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.1988.2251 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ. 202161098) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებით (შემდგომში: ხელშეკრულება) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" (ს/ნ: 202161098) გათავისუფლებაზე, შემდეგი ოდენობით:

ა) ხელშეკრულების 3.1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული - 13 800 (ცამეტი ათას რვაასი) ლარის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულების 5.14 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული - 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით;

გ) ხელშეკრულების 5.15 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ხელშეკრულების 6.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული - 3 300 (სამი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე